ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან ცაგარელი

ზომბირებასა და ემანსიპაციას შორის
განათლების სისტემის ზოგიერთი თავისებურება
თანამედროვე საქართველოში

საჯარო დისკუსია თემაზე:

განათლების პოლიტიკა - ემანსიპაცია თუ ინდოქტრინაცია?

ქუთაისი, 18.11.2012

როგორ ხედავს სახელმწიფო საკუთარ მომავალს და როგორ ამზადებს ამ მომავლისთვის მოქალაქეებს?

რა არის განათლების სისტემის მიზანი - ცოდნა თუ ინდოქტრინაცია?

საჭიროა თუ არა სისტემა ცოდნის მოსაპოვებლად?

რა არის ცოდნის მიღების ალტერნატიული გზა?

რას ჰქვია წარმატება დღეს და როგორია მისი ფორმულა - ვინ არიან წარმატებული და წარუმატებელი მოქალაქეები?

მოხსენების გეგმა

ამოსავალი თეზისი

ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია დამოუკიდებლად და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქე, რადგან

- მხოლოდ მოაზროვნე მოქალაქეები არიან მზად კონსენსუსის მისაღწევად და, ამრიგად, მხოლოდ ისინი შეძლებენ იყონ საკმარისად მიმტევებლები ერთმანეთის მიმართ, რათა შეინარჩუნონ მშვიდობა საზოგადოებაში.
- მხოლოდ მოაზროვნე მოქალაქეები არ ექვემდებარებიან მართვას სხვა ინდივიდების, საზოგადოებრივი ჯგუფების ან გარეშე პოლიტიკური ძალების მიერ.
- მხოლოდ მოაზროვნე მოქალაქეები არიან უნარმოსილნი, განახორციელონ ნამდვილი, ლოგიკურ არგუმენტებზე დამყარებული არჩევანი.

ადამიანები არ იბადებიან მოაზროვნეებად. ისინი ასეთებად ყალიბდებიან ან ვერ ყალიბდებიან იმის მიხედვით, როგორ გარემოცვაში იზრდებიან. ამ მხრივ, განსაკუთრებული პასუხისგებლობა ეკისრება განათლების პოლიტიკას. სწორედ მასზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ის, როგორები იქნებიან მომავალი მოქალაქეები, არამედ ისიც, როგორი იქნება მთლიანად მომავალი საზოგადოება.

მიზანი

ჩემს მოხსენებაში ვეცდები

1. გავარკვიო, როგორია სახელმწიფოს (2003 წლიდან დღემდე) ოფიციალური პოზიცია იმის შესახებ, საქართველოს მომავალი მოქალაქეები დამოუკიდებლად მოაზროვნე ინდივიდებად (დემოსის წარმომადგენლებად) აღიზარდნონ და ჩამოყალიბდნენ თუ მართვად ბრბოდ (ოქლოსად).
2. წარმოვაჩინო, რა კავშირია მოაზროვნე ადამიანს, სწავლის მოტივაციასა და გაცნობიერების უნარს შორის.
3. ვიმსჯელო იმ ხერხებსა და მიდგომებზე, რომლებითაც სახელმწიფომ შეიძლება ხელი შეუწყოს დამოუკიდებლად მოაზროვნე მოქალაქეების ჩამოყალიბებას.
4. მსჯელობის კვალ-და-კვალ ვეცდები შევეხო იმ კითხვებს, რომლებიც ამ დისკუსიის ფარგლებშია დასმული.

დაკვირვების საგანი

1. ჩემი პირადი გამოცდილება, რომელიც შევიძინე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საქართველოს ორ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დაკავებული აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობების ფარგლებში ასობით სხვადასხვა მიმართულებისა და საფეხურის სტუდენტთან ურთიერთობის საფუძველზე.

2. განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

სახელმწიფოს პოზიცია მოაზროვნე პიროვნების აღზრდასთან დაკავშირებით

ქართული განათლების სისტემის ფუძემდებლურ დოკუმენტში *ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები* ვკითხულობთ:

> საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, <u>თავისუფალი პიროვნების</u> ჩამოყალიბებისათვის. (ხაზი ჩემია - ლ.ც.)
>
> სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში <u>დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა</u> მიღების უნარ-ჩვევები. (ხაზი ჩემია - ლ.ც.)

როგორც ციტატში ჩანს, განათლების სისტემა „უნდა“ უვითარებდეს მოსწავლეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარს, რაც ალბათ არც დამოუკიდებლად აზროვნების უნარს გამორიცხავს, რომელიც, ლოგიკურად, ამავე დოკუმენტში მითითებულ „თავისუფალ პიროვნებას“ უნდა ახასიათებდეს. მაგრამ ისმის კითხვა: რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს განათლების სისტემა აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

თუ განათლების მიღებას მიზანმიმართულ ქმედებად მივიჩნევთ, რომელსაც ახორციელებს მოქმედი სუბიექტი (მოსწავლე, სტუდენტი) გარკვეული შედეგის მისაღწევად, აღმოჩნდება, რომ ამისთვის ქმედების მიზანთან ერთად საჭიროა ქმედების მიზეზიც (მოტივაცია). როგორც უკვე გაირკვა, სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად გააზრებული აქვს განათლების სისტემის მიზნები, თუმცა ეს აშკარად არ არის საკმარისი ამ მიზნების მისაღწევად, რადგან განათლების სუბიექტი არის არა სახელმწიფო, არა სკოლა, არა უსდ, არა მასწავლებელი, არა პროფესორი, არამედ მოსწავლე. თითქოს სახელმწიფოს ესეც გაცნობიერებული აქვს; *ეროვნულ სასწავლო გეგმაში* წერია, რომ „პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი“. მაგრამ თუ თავად სუბიექტი ამას არ ან ვერ აცნობიერებს, რამდენად შეიძლება გვქონდეს რაიმე შედეგის მიღწევის მოლოდინი?

მოდით, გავარკვიოთ, რამდენად გაცნობიერებული აქვს თავად განათლების სუბიექტს სწავლის მიზნები.

მოკლე ისტორიული ექსკურსი

შავ-ბნელ 90-იან წლებში, როდესაც თავად ვიყავი სტუდენტი, განათლება ერთგვარი სახადივით იყო, რომელიც ყველას უნდა მოეხადა იმის მიუხედავად, რომ ამის შედეგად შეიძლება არაფერი შეცვლილიყო არც მის ცნობიერებაში და არც მის ცხოვრებაში: ახალ ცოდნას ხომ მაინც ვერავინ შეიძენდა მაშინდელ უსდ-ებში, სამუშაო ადგილის პოვნა კი მთლიანად ნათესავების გავლენასა და შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. სწავლა გაიგივებული იყო მოსაწყენ, არაფრის მომცემ, ფორმალურ პროცესთან, რომელიც ერთი სრულიად უსარგებლო ქაღალდის მოსაპოვებლად იყო მიმართული. იმ წლებში სტუდენტების უმეტესობას საერთოდ არ გააჩნდა სწავლის მოტივაცია, მათთვის გაუგებარი იყო, რისთვის უნდა ეწვალათ 4, 5 ან 6 წელი. ამაზე არც ფიქრობდნენ, ყველაფერს მექანიკურად აკეთებდნენ. თვალწინ

მხოლოდ დიპლომი და თავიანთი მშობლები ედგათ, რომელთა კატეგორიული მოთხოვნის გამოც დაადგნენ უმაღლესი განათლების გზას. იმ ერთეულებსაც, ვინც მოცემულ ვითარებაში (არაკვალიფიციური და კორუმპირებული პროფესურა, ნულოვანი არჩევანი, ნულოვანი დამხმარე რესურსები) მაინც ცდილობდა მონდომებულად ესწავლა, არ ჰქონდათ გააზრებული, რისთვის აკეთებენ ამას. ხოლო ის შედეგი, რომელსაც ისინი აღწევდნენ მრავალწლიანი გარჯის შემდეგ, ალბათ უფრო მეტად მათ პირად მონაცემებს, მონდომებასა და ძალისხმევას შეიძლება მივაწეროთ და არა განათლების სისტემის გამართულობას.

დღევანდელი ვითარება

ჩემ მიერ ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ გავიდა 10 წელი. განათლების სისტემაში - როგორც გვარწმუნებენ - ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული რეფორმა განხორციელდა, რომლის შედეგადაც ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო და მართლაც, შეიცვალა ბევრი რამ - ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, არაფერი შეცვლილა იმ მიდგომაში, რომელიც რიგით მოქალაქეებს - სტუდენტებსა და მათ მშობლებს - ჰქონდათ განათლების მიმართ. სწავლა დღემდე რჩება გაუცნობიერებელ, იძულებით, უსიამოვნო პროცესად, რომლის დანიშნულებაც ისეთივე ბუნდოვანია, როგორც ეს 10 წლის წინ იყო. სწავლის მიზნების გაუცნობიერებლობა მოსწავლის მიერ და მისი მოტივაციის თითქმის ნულოვანი მაჩვენებელი მით უფრო გასაკვირია, რომ *ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში* ცალკე გამოიყოფა პარამეტრი „სწავლის უნარი“, რომელშიც იგულისხმება:

- მოსწავლის / სტუდენტის უნარი, გაიაზროს სიცოცხლის განმავლობაში (უწყვეტი) სწავლის მნიშვნელობა და გააკეთოს არჩევანი შემდგომი სწავლის შესახებ;
- აიღოს პასუხისგებლობა საკუთარ სწავლაზე;
- განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;
- თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი;
- დაადგინოს შემდგომი სწავლის საჭიროებები;
- დამოუკიდებლად წარმართოს სწავლა; გააცნობიეროს სწავლის პროცესის თავისებურებები.

ჩანს, ქაღალდზე ყველაფერი წესრიგშია და სრულად შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს. მითითებული მიზნების მიღწევის შემთხვევაში რიგითი მოქალაქე ამა ქვეყნისა უნდა აცნობიერებდეს, რისთვისაა საჭირო სწავლა, და მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ დამოუკიდებლად წარმართოს თავისი სწავლის პროცესი.

მაგრამ როგორც ვიცით, საგანმანათლებლო სინამდვილეში ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. რა არის ამის მიზეზი? - კონკრეტული ინდივიდების, მოსწავლეებისა და სტუდენტების რაიმე თანდაყოლილი უუნარობა, თუ მოქმედი განათლების სისტემის ხარვეზი? ან ეგებ განათლების პოლიტიკის ფარგლებში de facto სულაც არ არის სასურველი მოაზროვნე, სწავლის უნარის მქონე პიროვნებების მომრავლება ქვეყანაში?

ჩემი აზრით, პრობლემის მიზეზები უნდა ვეძებოთ არა განათლებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში, არამედ ქართულ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით პრაქტიკაში, რომელიც სახელმწიფოს მიერ უმეტესწილად უგულებელყოფილი იყო. აქვე შეიძლება გაეცეს პასუხი კითხვას: *როგორ ხედავს*

სახელმწიფო საკუთარ მომავალს და როგორ ამზადებს ამ მომავლისთვის მოქალაქეებს? - სახელმწიფო აქამდე უმეტესად აწმყოზე იყო ორიენტირებული. აქტუალური პრობლემებით დაკავებულ პოლიტიკოსებს ხშირად ავიწყდებოდათ შინაგანი მზერის მიპყრობა მომავლისკენ. შედეგად, ვერც იმას აცნობიერებდნენ, რომ მომავალი საზოგადოების ცნობიერება მთლიანად ახლანდელ განათლების სისტემაზეა დამოკიდებული და არა ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარებაზე, რომლისკენაც მიმართული იყო აქამდე ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი.

და მაინც როგორია ქართული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პრაქტიკა?

ქართული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პრაქტიკა

საკმარისია, ზედაპირულად დავაკვირდეთ ნებისმიერი საშუალო სკოლის ყოველდღიურობას, რათა შევამჩნიოთ, რომ მოსწავლეს სკოლაში სწავლის განმავლობაში პრაქტიკულად არ უწევს არც ერთი სერიოზული არჩევნის გაკეთება, რომლის შედეგებზეც მას თავად მოუწევდა პასუგისგებლობის აღება: იგი არ ირჩევს თემებს ესეებისთვის, არ ახორციელებს დამოუკიდებელ პროექტებს, არ ირჩევს საგნებს, არ ირჩევს შესასწავლ უცხო ენას. თუმცა არჩევანის არარსებობა არ არის ჩვენი მოზარდების ერთადერთი პრობლემა. თუ გავესაუბრებით მათ და ვკითხავთ, რატომ აკეთებენ ამა-თუ-იმ დავალებას, ან რაში გამოადგებათ ამა-თუ-იმ საგნის ფარგლებში შეძენილი ცოდნა, უმეტესად ძალზე შემაშფოთებელ პასუხებს მოვისმენთ: მათ არ იციან, რისთვის სწავლობენ. შედეგად, მოსწავლეებს არ სურთ იმ ყველაფრის კეთება, რისი კეთებაც უწევთ სკოლაში და სკოლისთვის. სწავლა მათთვის იძულებითი, გაუგებარი და უსიამოვნო პროცესია.

სასკოლო განათლების ამ ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, მაგრამ სოციალურად მაინც საგრძნობი ხარვეზის შედეგად სკოლის დამთავრების მომენტისთვის მოსწავლეების უმრავლესობა მოქალაქეობრივად უმწიფარია: მათ არ აქვთ უნარი, დამოუკიდებლად იცხოვრონ, დამოუკიდებლად დაისახონ მიზნები, კრიტიკულად შეაფასონ მოვლენები და ადამიანები, თავად აგონ პასუხი თავიანთ ქმედებებზე, აირჩიონ სპეციალობა საკუთარი ინტერესებისა და მონაცემების შესაბამისად და ა.შ. ეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც სრულიად ავტორიტარული სასკოლო სისტემიდან აბიტურიენტი ხვდება შედარებით უფრო ლიბერალურ უსდ-ში, სადაც მას სწავლის პირველივე წელს უწევს კურსების არჩევა. როგორც წესი, ისინი ძალიან იბნევიან: მათ აშინებთ არჩევანი და ეს ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ ჰყოფნით ზოგადი განათლება კურსის სახელწოდების საფუძველზე ამ უკანასკნელის შინაარსის გასარკვევად, არამედ იმის გამოც, რომ თავად არჩევნის ფენომენი მათთვის უცხოა. აქამდე ხომ მშობლები, მასწავლებლები, დამრიგებლები, დირექტორები და სხვა უფროსები წყვეტდნენ ყველაფერს მათ მაგივრად. ჩემი დიაგნოზის დასადასტურებლად ასევე გამოდგება დაკვირვება პირველი წლის სტუდენტებზე სასწავლო წლის დაწყების წინ: მათი დიდი ნაწილი მშობლებთან ერთად დადის უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საკითხების გასარკვევად.

ამგვარ სტუდენტს არასდროს არ მოუვა აზრად, რომ არსებობს ცოდნის მიღების ალტერნატიული გზები, როგორებიცაა თუნდაც მედიები. მედიები მისთვის დარჩება გართობისა და კომუნიკაციის საშუალებად და არა ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვების საშუალებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არ იციან, როგორ ისარგებლონ არსებული ინფორმაციული თავისუფლებით, რადგან არ გააჩნიათ შესაბამისი მოტივაცია და ღირებულებები. ამრიგად, კითხვა - *საჭიროა თუ არა სისტემა ცოდნის მოსაპოვებლად?* - ძალზე ნაადრევია არსებულ ვითარებაში: იმის გათვალისწინებით, რომ განათლების სუბიექტებს ამჟამად არ აქვთ დამოუკიდებლად სწავლის უნარი, ამგვარი სისტემის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ასევე, ძალზე მწირია იმის ალბათობა, რომ ამგვარი სტუდენტი წარმატებული იქნება. წარმატებულად მე

მიმაჩნია ის მოქალაქეები, რომლებმაც მოახერხეს ეპოვნათ ისეთი პროფესია, რომელშიც ყველაზე უკეთ შეუძლიათ საკუთარი მონაცემებისა და უნარების რეალიზაცია. ამის წინაპირობა კი ერთგვარი შინაგანი თავისუფლებაა, რომელიც გაძლევს ინდივიდს შესაძლებლობას, არ აყვე დინებას, არ აირჩიო ის სპეციალობა, რომელიც ბრბოს მიაჩნია პერსპექტივულად, არამედ აირჩიო ის, რისი კეთებაც ნამდვილად გინდა და შეგიძლია სხვებზე უკეთესად. ამ თავისუფლების მოსაპოვებლად კი საჭიროა სწორედ ის დამოუკიდებლობა და გაცნობიერებულობა, რომელსაც ზემოთ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა დავუთმეთ.

ამრიგად, სასკოლო განათლების სისტემა მოცემულ ეტაპზე იმდენად რეპრესიულად მოქმედებს მოსწავლის აზროვნებაზე, რომ მისი როგორც ინდივიდის ემანსიპაცია საუნივერსიტეტო განათლების საფეხურზეც ძალზე რთულდება. მართალია, განათლების სისტემის ოფიციალური მიზანი „თავისუფალი პიროვნების“ აღზრდაა, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად არ არის საკმარისი შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმალური გამართულობა. იმის გამო, რომ თავად განათლების სუბიექტებს - მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მათ უმრავლესობას საერთოდ არ აქვს გააზრებული თავიანთი მიზანი, ის, რასაც ისინი სწავლის შედეგად იძენენ, უფრო მშრალი ფაქტების განუსჯელი ერთობლიობაა (ინდოქტრინაციაა), ვიდრე ამ უკანასკნელთა კრიტიკულად შეფასებისა და ახალი ცოდნის შექმნის უნარი. ამ ყველაფრის შედეგი კი მოქალაქეობრივად უმწიფარი, შეუმდგარი საზოგადოებაა, რომელიც თავისი ინფანტილურობით ოქლოსს უფრო წააგავს, ვიდრე დემოსს.

გამოსავალი

რეფორმის შედეგად საქართველოში განათლების სისტემამ განვლო ფორმალიზაციისა და რეგლამენტაციის გარდაუვალი და აუცილებელი საფეხური. ამჟამად, ყველა ნორმატიური დოკუმენტი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, სისტემის მექანიზმი აწყობილია, მოქმედი პრინციპები მიახლოებულია დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ სტანდარტებთან და ა.შ. ვფიქრობ, დროა, ამ ფორმალური ასპექტებიდან გადავიდეთ არანაკლებ (თუ არა მეტად) მნიშვნელოვან შინაარსობრივ საკითხებზე. ამისთვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრები (მოცემულ შემთხვევაში, მასწავლებლები), რომელთა რაოდენობაც ქვეყანაში უკიდურესად მცირეა. ჩვენ უკვე ვნახეთ, რაოდენ სავალალო შედეგებით დასრულდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. მათი შედეგები ააშკარავებს იმას, რომ ტრეინინგებითა და გადამზადების კურსებით საგანმანათლებლო სივრცის ძირეულად შეცვლა შეუძლებელია. ამასთან, სრულიად უტოპიური იქნება, ვივარაუდოდ, რომ მასწავლებელი, რომელიც მთელი თავისი კარიერის განმავლობაში მოსწავლეს უუფლებო ობიექტად მიიჩნევდა, რაიმე ტრეინინგის შედეგად რადიკალურად გარდაიქმნება და მოსწავლეს მოაზროვნე ინდივიდად აღიქვამს. მაგრამ ახალი კადრები არსად ჩანს, მასწავლებლის პროფესია უკიდურესად არაპოპულარულია, რაც ანაზღაურების სიმცირითაა განპირობებული. ამრიგად, პირველი ნაბიჯი, რომელიც განხორციელებული რეფორმების შემდეგ უნდა გადაიდგას, ჩემი აზრით, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაა.

მეორე გამოსავალი იქნებოდა ძალიან მარტივი ინსტრუქცია, რომ ყველა სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაამკვიდროს არჩევითი საგნების სისტემა, რაც გაზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს.

და ბოლოს, თუ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, როგორი იქნება საზოგადოებრივი ცნობიერება მომავალში, მან განათლების სფეროს უნდა მიანიჭოს უპირატესობა ყველა სხვა სფეროს წინაშე და ქვეყნის ბიუჯეტიც შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით უნდა გაანაწილოს.

დასკვნა

ზემოთქმულის საფუძველზე აშკრაა, რომ სწავლის მიზნების გაუცნობიერებლობასა და ინფანტილურ, ზომბირებად საზოგადოებას შორის უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. ვფიქრობ, სწორედ ეს გაუცნობიერებლობა, განუსჯელობა არის ამჟამინდელი განათლების სისტემის ძირითადი პრობლემა, რომლითაც აიხსნება ყველა დანარჩენი, ამ დისკუსიის ფარგლებში დასმული პრობლემა.